# ონის მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ოქმი №1

ქ. ონი

სხდომის ჩატარების დრო 27.11.2021 წელი

სხდომის დაწყების დრო 12.00

სხდომას ესწრებოდნენ მრჩეველთა საბჭოს წევრები:

1. კობა მეტრეველი-მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე, ფინანსისტ-ეკონომისტი
2. ნაზიბროლა გავაშელი-სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთშორისო საზოგადოების ონის კოორდინატორი.
3. რევაზ რაზმაძე-ინდ. მეწარმე
4. ელეონორა ნანიშვილი - მოქალაქე
5. თამარ ლობჯანიძე - მერიის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი
6. ისმაილ ამშიკაშვილი- ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი.
7. ირმა ჩიხრაძე -დეპუტატის ბიურის უფროსი
8. იმედა გობეჯიშვილი- საფინანო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.
9. თინათინ ბროლაშვილი- საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმის განყოფილების უფროსი.
10. მანანა ჩაგელიშვილი - განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი.
11. მარინე რაზმაძე- სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსი
12. გივი ბენდიანიშვილი- მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი.
13. დალი რაზმაძე- ონის საჯარო სკოლის დირექტორი
14. ლევან ოყრეშიძე- საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის წარმომადგენელი
15. ირინა გობეჯიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილების უფროსი.

სხდომის თავმჯდომარე -კობა მეტრეველი

მდივანი- ნაზიბროლა გავაშელი

**დღის წესრიგი**

1. რეგისტრაცია
2. კობა მეტრეველი ( საბჭოს თავმჯდომარე) დღის წესრიგის გაცნობა და კენჭისყრა
3. ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პროგრამიული ბიუჯეტის პროექტის განხილვა, მომხსენებელი კობა მეტრეველი - მერიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე
4. ონის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლის პრიორიტეტების დოკუმეტის განხილვა, მომხსენებელი კობა მეტრეველი - მერიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე
5. ,, ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქომე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ"- მომხსენებელი კობა მეტრეველი - მერიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე
6. ონის მუნიციპელიტეტში მომდინარე პროექტის ,, სოციალური ანგარისვალდებულება და ადგილობრივი მმართველობის გაუმჯობესება სამოქალაქო ჩართულობის გამო" გაცნობა. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს კომპეტენტურობის ზრდისა და სამოქმედო გეგმის მოდიფიცირების ხელშეწყობის დაგეგმვა, მომხსენებელი ლევან ოყრეშიძე საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის წარმომადგენელი.
7. დისკუსია : კითხვა-პასუხის რეჟიმი.

კენჭი ეყარა წინადადებას დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

მომხრე -15

წინააღმდეგი-0

8. კობა მეტრეველი- ( საბჭოს თავმჯდომარე) სხდომის დახურვა

## საკითხი 1

ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტის განხილვა: მომხსენებელი კობა მეტრეველი მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე. მომხსენებელმა სხდომის წევრებს გააცნო ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტი. (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

1. ელეონორა ნანიშვილმა აღნიშნა, რომ ბარათაშვილის ქუჩაზე დაუმათავრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორია მოითხოვს დასუფთვებას და საერთოდ სახლის მშენებლობის გაგრძელებას ან დემონტაჟს.

2. მანანა ჩაგელიშვილმა ყურადღება გაამახვილა ქუჩაში გადაბრუნებული ხეების სანიტარულ ჭრაზე, რადგანაც ბევრს ფესვები აქვს დაზიანებული და საფრთხის შემცველია.

3. დალი რაზმაძემ  დააყენა საკითხი წმენდაურში წყალგაყვანილობის , კანალიზაციის და გზის გაკეთების თაობაზე.

4. ნაზიბროლა გავაშელმა აღნიშნა რომ მიუხედავად არაერთი თხოვნისა მოსწავლე-ახალგაზრობის სახლის შენობის ირგვლივ არსებული ანტისანიტარული სიტუაციის გამოსწორება დღემდე ვერ მოახერხა. ასევე სანიღვრე არხი რომელიც შენობის უკან ჩაეფინება ვერ უზრუნველყოფს წყლის გატარებას და ყოველი წვიმის შემდეგ ეზო დაიტბორა. მიმდებარე ტერიტორია კი ტყედ გადაიქცა, რომელიც გაკაფვას და შემოღობვას საჭიროებს. კობა მეტრეველმა აღნიშნა რომ ინფრასტრუქტურული პროექტები მეტი ყურადღებით უნდა იყოს დაგეგმილი, მაგალითად არსებული პროექტით გაკეთდა აღმასენებლის და კახაბერის ქუჩები, რაც მისასალმებლია, მაგრამ ამ ორი ქუჩის გადამკვეთი რამოდენიმე ქუჩა ნახევრად გაკეთდა. უკეთესი ხომ არ იქნებოდა სანამ სხვა ქუჩებს დაიწყებდნენ ჯერ ეს პატარ-პარატა მონაკვეთი დაესრულებინათ.

ასევე უნდა იყოს დაკონკრეტებული რომლეი ქუჩის რეაბილიტაცია იგეგმება.

კენჭი ეყარა:

სხდომის თავმჯდომარემ წევრებს მოუწოდა კენჭი ეყარათ წარმოდგენილი საკითხისთვის.

მომხრე-15

წინააღმდეგი-0

**კენჭის ყრის შედეგად დაადგინეს: დაყენებული საკითხები იქნას გათვალისწინებული და ამის შემდეგ მოწონებულ იქნას ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი  წარმოდგენილი სახით.**

## საკითხი 2

ონის მუნიციპალიტეტში მაღალმთაიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან სიციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ:. მომხსენებელი: კობა მეტრებელი-მერიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე. მომხსენებელმა აღნიშნა რომ ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებბეში

მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის ზოგადი დაებულებები საჭიროებს გადახევდვას. უფსიდიიდან გამოყოფილი სოციალური დაფინანსება არის ძალიან მცირე, რაც უარყოფითად აიახება ყველა მუხლით გაცემულ დახმარებაზე.

აზრი გამოთქვეს

1. მანანა ჩაგელიშვილმა - წამოაყენა წინადადება ონკოლოგიური და დიაბეტური დაავადების მქონე პირთათვის მედიკამენტებით უზრუნველყოფაზე. ასევე შშმ პირები დახმარები გაცემის წესი მოითხოვს კორექტირებას, რადგან ქულების მიხედვით ხდება დახმარების გაცემა.

კობა მეტრეველმა აღნისნა რომ კატასტროფიულად მცირეა ვეტრერანთა და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის დაფინანსება. ასევე წინადადება შემოიტანა დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორების მიზნით გადიდდეს მშობიარობის შემდეგ ბავშვების დახმარება.

კენწი უყარეს

სხდომის თავმჯდომარემ მოუწოდა სხდომის წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი საკითხისთის

მომხრე-15

წინააღმდეგი-0

**კენჭის ყრის შედეგად დაადგინეს დახმარების გაცემის წესები იურიდიულად იქნეს დამუშავებული და შემდეგ იქნას მოწონებული.**

## საკითხი 3

ონის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლის პრიორიტეტების  დაკუმენტის განხილვა. მომხსენებელი კობა მეტრეველი-მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო თავმჯდომარე.

მომხსენებელმა დამსწრეებს გააცნო პრიორიტეტების დოკუმენტი და აღნიშნა რომ  მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება  ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგეს. ინფრასტრუქტური განვითარება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობაშტან. ინფრასტრუქტურული პროექტების განხორიელება ხელს შეუწყობს მუნიციპაიტეტში ინვესტიციების მოზიდვას, რაც ტურიზმის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სხვა დარგების განვითრების წინაპირობაა. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის  მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების,გარე განათების ქესელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

აზრი გამოთქვეს

1. ნაზიბროლა გავაშელმა აღნიშნა რომ ძველი  ბაზრის ტერიტორიის მოუწესრიგებლობა ძალიან აფერხებს მისწავლე ახალგაზრდობის, სამხატვრო სკოლის და ბიბლიოთეკის შენობების და ეზოს მოვლა-პატრონობას.

2. კობა მეტრეველმა აღნიშნა რომ ინფრასტრუქტურის განვითრებისთვის გამოყოფილი ფინანსები პრიორიტეტულად უნდა იქნეს გადანაწილებული, ამისთვისსაჭიროა წინასწარი გამოკვლევა და განხილვა და შემდეგ დაგეგმვა.

წინდაწინ უნდა განიხილონ პროექტები რათა სწორად იქნეს განსაზღვრული პრიორიტეტები, მაგალიტად რატომ უნდა გაკეთდეს გზა სევაში. ეს უნდა იყოს დასაბუთებული, თუმცა საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს ყველგან გაკეთდეს გზა.

**კენჭი უყარეს**

სხდომის თავმჯდომარემ მოუწოდა სხდომის წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი საკითხისთვის

მომხრე-15

წინააღმდეგი- 0

**კენჭისყრის შედეგად დაადგინეს მცირე შენიშვნების გათვალისწინებით მოწონებული იქნეს ,, ონის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლის პრიორიტეტების დოკუმენტი“**

## საკითხი 4

,, ონის მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტის ,, სიციალური ანგარიშვალდებულება და ადგილობრივი მმართველობის გაუმჯობესება სამოქალაქო ჩართულობის გზით“ გაცნობა. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს კომპეტენციების ზრდისა და სამოქმედო გეგმის მოდიფიცრების ხელშეწყობის დაგეგმვა.

მომხსენებლი: ლევან ოყრეშიძე - საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის წარმომადგენელი

მომხსენებელმა აღნიშნა რომ მრჩეველთა საბჭოები არის ჩვენი პროექტის წამყვანი საკითხი ( პროექტი თან ერთვის)

მრჩეველთა საბჭოს სამოქალაქო გეგმების შემუშავებასთან დაკავშირებით უნდა დაიგეგმოს სამუშაო შეხვედრა.

**დაადგინეს: დაიგეგმოს სამუშაო შეხვედრა 30 ნოემბერს 2 საათზე.**

კრების თავმჯდომარემ , კობა მეტრეველმა მრჩეველთა საბჭოს სხდომა დასრულებულად გამოაცხადა.

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე: ნ. [illegible]

მრჩეველთა საბჭოს მდივანი: ნ. [illegible]